

რედაქცია

გაზეთის რედაქცია. ავ. მუსხისხის ხანაში. ქუთაისი.

ხელის-გოჭარი

ქუთაისში, „დროება“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში, „დროება“ „ივერიის“ რედაქციაში. თან სილაზე. გაზეთი ქუთაისში: ВЪ Тифлисъ, въ редакцію „Дროება“ „Иверія“.

„დროება“ - ივერიის უახლესი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს.

„დროება“ და „ივერიის“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ. . . 3 მ. . . 2 მ. . . 9 მან. . . 5 მ. . . 3 მ. . . 2 მ. . . 7 მან. . . 4 მ. . . 2 მ.

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა

უახლესი განცხადებისა

დღის განმავლობაში. ქუთაისში. „დროება“ „ივერიის“ რედაქციაში. თან სილაზე. გაზეთი ქუთაისში: ВЪ Тифлисъ, въ редакцію „Дროება“ „Иверія“.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოწმებს დასაბუთებულ გამოცხადებებს. დასაბუთებულ წერილებს რედაქცია უზრუნველყოფს დასაბუთებულ წერილებს.

განცხადების მიხედვით ქართულს, რუსულს და სხვებს. ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“ „ივერიის“ რედაქციაში.

გაზეთი „დროება“ და „ივერიის“ ღირს 5 მან.

დროება

პირველის აპრილიდან წლის დასრულებამდე დროება ღირს შეიდი მანეთი

სეკს-მოწერა მიიღება, თეილისში: რედაქციაში (გადავინის პრინციპტზე, თ. ივ. მუსხისხის ხანაში, ქუთაისი ქვეშ), ქუთაისში - ავსტონ ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მიხანს ჭყონიას ხანაში). ქადაქს გარეშე მისწავრებათ-თვის ადრესი: Тифлисъ. Редакция „Дроება“.

თბილისი 1881 წელი
ან წრუნის თეატრში
ხუთშაბათს 2 აპრილს

აკ. წერეთელი წაიკითხავს ლექციას ვეფხვის ტეოსანზედ.

გეოგრაფია I კომპარატივ ვეფხვის ტეოსანი. კაცები

- ა) ტარიელ.
- ბ) ავთანდილ.
- გ) შრიდონ.
- დ) ამათი განსხვავება ხასიათებით. ბილეთები ისეა დატანილი ან წრუნის თეატრის განსახში.
- დასაწყისი ცხრის ნახევარზედ

ტელეგრაფები

კავარბურლი სპირაჟა, 31 მარტს.

(„ხელთაშობის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	97	37
მეორესი	93	37
მესამესი	94	25
მეოთხესი	93	37
აღმოსავლეთის პირველი	92	50
აღმოსავლეთის მეორე	92	50
აღმოსავლეთის მესამე	92	50
მკრო, 1/2 იმპერიული	7	94
თეილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი	—	—
შინაგანის 5% სესხი ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი სესხის	223	25
მეორე სესხის	216	50
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი	24	69 პენსი
ბამბურლი	210	75 ცენტი
პარიჟი	261	სანტიმი
ვენა	129	50 პენტი
პეტერბურგის კურსი	—	—

პაცი რომ თავის-თავს უზამს, იმას მტარი ვარ უზამს *)

ტვილისი, 1 აპრილს.
წარსულ თავის ლექციაში აკაკი წერეთელმა ქართლებების ხასიათზე სიტყვა უცოდველათ რომა იცინაო. ჩვენდა საუბედუროთ, რომეას კიდევ არა უშედეგა-რა, რომ ხეტილიც არა სკოდნოდათ.

მართლმან თავად-აზნაურიმელო-ბამ დაწყეს დეპუტაცია გაეგზავნათ პეტერბურგში ხელმწიფე იმპერატორის დასაფლავებაზედ. დეპუტაცია გაგზავნა რუსეთში იმ დროს, როდესაც მთელი რუსეთი და იმასთან ჩვენი ქვეყანაც დიდს და დიდს ცელილებებს მოვლის. თავად-აზნაურობამ კი არავითარი განკარგულება არ მისცა თავის გაგზავნილებს. რისთვის მიდიოდნენ თქვენი არჩეულნი ბრძენნი და სახელოვანნი დეპუტატები? როგორ დავიჯერო, მარტო იმიტომ, რომ თავის ბრწყინვალე მუნდირით გაემრავლებინათ ისეც დავარაყებულნი ხალხის გროვა? მანა ჩვენთვის საჭირო მარტო ის იყო, რომ პეტერბურგს შეეტყო, რომ ჩვენში დიდ-გვაროვანი თავადები არიან? რატო იმაზე არ იზრუნა, თავად-აზნაურობამ, რომ დეპუტაცია იყო იმის წარმომადგენელი, იმის პიროვნობის თვისებისა, იმის გაჭირვების მგრძობელი და წარმომტქმელი და შემსუბუქების მთხოვნელი.

როგორ დავიჯერო ჩვენ უბედურ ქვეყანაში ისეთი კაცი, ნამდვილი აღამიანი, ვერ მოიპოვეთ, რომ ჩვენ წარმომდგენლათ ყოფილიყო საჭირო დროს რუსეთში? მაგრამ თქვენ უთუოთ იმისი გეშინოდათ, რომ შავ სერთუკში იმას პეტერბურგში არავინ შენიშნავდა, სირცხვილი ჩვენთვის და საუკუნოთ სირცხვილი, რომ უგზო-უკვლოთ ვექცევით ჩვენ საქმეებს.

მე რომ „ახალ ამბებში“ წავიკითხე: ქართველ დეპუტაციამ ვენზილები ითხოვაო და იმისავე გვერდით პოლ-შელებს ითხოვნა, გული ცეცხლით ამენტო. რომ შემძლებოდა ჩვენ თავად-აზნაურობას ნებას წავართმევდო, რომ შემდეგში იმათ არასოდეს აღარ ეკისრნათ ჩვენი ქვეყნის საქმეები.....
„მიცინოთო თუ ვიტყვითო?“
ანბობს ილია ბახტაძე. შემშარიტათ,

*) ეს შენიშვნა, როგორც მკითხველზედ მისჯდება, უფრო იმკეთის თავად-აზნაურთა დეპუტაციას შეეხება.

რომ ჩვენი უთავბოლოთ რომეა და ხეტილი სატირალიც არის და საცი-ნელიც.

ახალი ამბები.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი საყურად-ღებო შენიშვნა მუთათისადამ:

„პრეტორს გუბერნიამი ძავკასიის-აქეთა და იქითა მხრისას არ არის იმისთანა მანებელი ჩვეულება შესახებ თევის ჭერისა, როგორც ამ ჩვენ მუთათისის გუბერნიამი. დადგება თუ არა გაზაფხული, როდესაც ღრმა წყლებიდან გამოდის თევზი და უფრო ახალ წყალს მიმართავს, სწორეთ ამ დროს ჩაუდგმენ ჩვენს მდინარეებში ფაცხებს, გადაუღობავენ გზას და ამისთანა საბრძნებით იჭერენ მოსამე-ნებელ, დაქვირითებულ თევზს.

„თუ ამ უდროო დროს ჭერით არ აწყალბდეს ჩვენი ხალხი თევზსა, უეჭველია ჩვენშიაც ისეთი სიმრავლე იქნება თევზისა, როგორც თეილისის და სხვა გუბერნიების მდინარეებში.

„ამისათვის ურიგო არ იქნება, მთავრობამ მიაკციოს ამ საგანს ყურადღება და როგორც ფრინველისა და ზოგიერთ ნადირისათვის თაობაზედ არის გამოცემული ბრძანება და კანონი, რომ გამოჩეკისა და მოშენების დროს არავინ ხელი არ ახლოსო, ისე თევზის თაობაზედაც გამოიცეს განკარგულება, რომ ქვირითის დაყრის დროს არავის შეეძლოს თევზის დაჭერა.

„ამ გვარი განკარგულების გამოცემა და სისრულეში მოყვანა, უეჭველია, დიდ სარგებლობას მოუტანს თვით ხალხსაცა და მმართველობასაც.“

არ შეიძლება არ დაეთანხმოს კაცი ამ აზრსა და წინადადებას.

მს მეოთხე ღღეა, რაც ჩვენს ქალაქში არც რუსეთისა და არც საზღვარ-გარეთის ფოჩტა არ მოსულა. მიზეზი—ძავკასიის მთებში ზღვაების ჩამოწოლა და გზების გაფუჭებაა.

ამიტომაც დღევანდელ ჩვენს გაზეთს მარტო შინაურ ამბებით ვავსებთ...

მართლმან ვეატყობინებენ, რომ, ბორის მაზრის უფროსის განკარგულებით, გაელილ მარტის 19-ს სოფ. ხელთუბანში დანიშნული ყოფილა კრება სოფ. პარალეთის, ბარეჯგორის, მორტოზის, რეხის, სვენეთის, ახალ-სოფლისა და შავშეების საზოგადოე-

ბისა ფიცის მისაღებად ახალ ხელ-მწიფე-იმპერატორის ერთგულებისათვის. პრებზე დაესწრო ბორის მაზრის უფროსის თანამეგწე ბ. მანსეიჩი. მიცვალბულ ხელმწიფის სომეხ-გრიგორიანის მღვდელს ბ. ტერმოვსეს მეწულოვს წარმოუთქვამს ჩინებულ სიტყვა მიცვალბულ იმპერატორის შესახებ.

ბორჩლოში კალია გამოჩეკილა. ადგილობრივ აღმინისტრაციას მოუხდენია ფიცხელი განკარგულება ამ ახლად-გამოჩეკილ კალიის გასაწყვეტად. ამგვარსავე ამბავს იწერებინ ბანჯის გუბერნიიდანაც, სადაც რამდენსამე ალაგას გამოჩეკილა კალია.

სომხურ გაზეთს „მშაკში“ შარსი-დამ იწერებინ, რალაც გადამდები ავთამყოფობა გაჩნდა აქაო და ჯერ-ჯერობით რამდენიმე სული იმსხვერპლაო; თუ მცოდნე ექიმები არ გამოგზავნეს და ხალხს დარიგება არ მისცეს, ექიმობის თაობაზედ, შეიძლება ეს სენი გაგრცელდეს, სოფლებს მოვდოს და დიდ-ძალი ხალხი დახოცოსო.

უკანასკნელს რიცხვებში გამოჩინა მარტმა თავის ნამდვილი ხასიათი: ეს მეოთხე ღღეა, რაც წვიმა თითქმის არ შეწყვეტილა; როგორც მარტის წვიმა მოგესენებათ, ისე წვილად შეხვავს, ჟონავს. ამასთან გვარინა-დაც აცივდა. „მარტმა კული მოიქნიაო“—სწორეთ ის მოუვიდა; მაგრამ სამი „ნასესხები“ დღეც მალე გავა და მერე, იმეღია, ნამდვილი გაზაფხულის დღეები დაგვიდგება.

მუთათისდამ გეატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქ გადაცელილა ერთი იქაურ შეძლებული ვაჭართავანი პ. შალინოვი, რომელსაც სამასი მანეთი უანდერძებია ადგილობრივ „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარ საზოგადოებისათვის“.

ნეტარი იყოს ხსენება განსვენებულისა, მით უფრო, რომ ეს პირველი მაგალითია ქუთათურ ვაჭარს რამე ენდერძებინოს ამისთანა ქველმომქმედ საზოგადოებისათვის...

იქიდანვე გეაცნობებენ, რომ რამდენიმე იქაურ სცენის მოყვარულთა მე. პლდიაშვილის თაოსნობით განუზრახავთ პირველ-შემთხვევისათანავე წარმოდგენის გამართვა სოფ. ძულაშში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ. ქუ-



ლაშელი თავად-აზნაურობა შეძლები-
სა-და-გვარად დახმარებას ჰპირდება
იმით და საზოგადოდ იმედია, რომ ამ
წარმოდგენას კარგი შემოსავალი ექ-
ნება. ძალიან მადლობის ღირსნი
არაიან პატივცემულნი თაოსანი და
მოყვარულნი ამ რიგის ქველის გან-
ზრახვისათვის.

* *

სამეგრელოდამ გეწერენ:

„ამ უკანასკნელ დროს ჩვენში ისე
გავრცელებული იყო ქურდობა, რო-
გორც წასრულს დროებში გაგიგო-
ნათ. სახლების გატეხა, ცხენების და
სხვა პირუტყვების საბალახედამ მოტა-
ცება, მარნის და ბელღების გატეხა
და სხვ. — ჩვეულებრივ მოვლენად
შეიქნა.

„მერავითარი წარმატება ვერ აღ-
მოაჩინა იმ წესებმა, რომელიც, რო-
გორც მოგესხენებთ, შემოდებულია
მრთელს სამეგრელოში ქურდობის
მოსასპობლად. იმისთანა უფროსები
და ხევის-თავეები ამოარჩიეს, რომ
რაც აგზავნობა არ გავრცელდა, ამ
საშუალოდამ ვერა სიკეთე დააყარა.

„ზოგიერთ სოფლებში სამეგრელო-
ში სრულიად მოსპობილია თითქმის
ქურდობა.“

შეცდომა. „დროების“ მე-62 №-ში,
მესამე გვერდზედ, პირველს სვეტზედ
თელავილამ კორრესპონდენტიაში არის
შეცდომა. დაბეჭდილია: „მაგრამ მას-
რის უფროსის წინაშე ამღვიარებე-
ლი“... უნდა იყოს: „მაგრამ კავკასია-
ში სწავლა-განათლების მსწრუნგელის
წინაშე ამღვიარებელი.“

ბაშსია

საკვებაჲ ხორაგეულებათ, რომელნიც
იყიდეიან თფილისის ბაზრებში, დუქ-
ნებში და დატარებთ ერთის თვის გან-
მავლობაში, 1 აზნილიდამ 1 ძაი-
სამდის.

- ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვი-
ლის:
- პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 1/2
 - მეორის „ — 1 გირ. 4
 - იმავე ფქვილიდამ თორნეში გამო-
მცხვ რი:
 - პირველის ხარისხის — 1 გირ. 6 კ.
 - მეორის „ — 1 გირ. 4 1/2
 - ჯვარის-მამის პური:
 - პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7
 - მეორის „ „ 1 გირ. 5 1/2
 - მესამის „ „ 1 გირ. 5
 - ძროხის ხორცი:
 - პირველის ხარისხის — 1 გირ. 12 კ.
 - მეორის „ — 1 გირ. 10
 - სუკი — 1 გირ. 18
 - ცხვრის ხორცი 1 გირ. 14
 - ღორის ხორცი:
 - პირველი ხარისხის — 1 გირ. 14
 - მეორის „ — 1 გირ. 12 კ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის
მწარმოებლებს, რომელთაც თფილი-
სის ბაზრებში და მადენებზე მოაქვს
ხორაგი გასასყიდლად.

„დროების“ კორრესპონდენცია.

ქუთაისი, 23 მარტს. ბუშინ რო-
გორც იქნა შესდგა აქაურ საკრთი-
ერთო ნდობის საზოგადოების წევრ-
თა კრება. სანამ სხდომაზედ ვიტყო-
დეთ რამოდენიმე სიტყვას, „საზო-
გადოების“ ანგარიშიდამ ამოვწერთ
ზოგიერთს საინტერესო ცნობებს.

პირველ იანვრის 1881 წ. ბალან-
სილამ სჩანს, რომ „საზოგადოების“
წევრებად არიან სულ 330 კაცი (167
მოვაჭრე და 163 სხვები), რომელთა-
გან თვით ქუთაისში სცხოვრებს 289
და სხვაგან კი 32. ქველა წევრთაგან
მიმომქცევ კაპიტალის თანხად (**сум-
ма оборотного капитала**) შეტანილ
იყო 48,865 მანეთი. 1 იანვ. 1881
წ. შესრულებულ იქნა 148,852
მან. და 33 კ. ვექსილთა დისკონტი;
გაცემულა სარგებლიან ქაღალდთა
გირად მიღებით 36,580 მან. წევრ-
თაგან სასარგებლოდ შემოტანილ იქ-
ნა 69,180 მან. 12 კ. გადადისკონ-
ტებული (**переучтенный**) ვექსილე-
ბი — 33,200 მან; სარგებლიან ქა-
ღალდთა გადაგირაება 27,969 მან.
ძასის სრული მიმომქცევა საანგარი-
შო წლის განმავლობაში იყო
1,654,316 მანეთის და 82 კ.

მთელის მოგებიდამ 266 მან. და
50 კაპიკის ნიჯადის კაპიტალთან
(**запасный капитал**) მიმატების შემ-
დეგ საღ მოგებად დარჩა 2,398 მან.
50 კაპ.

აქ ცოტა შეეჩერდეთ. ანგარიში
მოხსენებულია, ვითომც ეს მოგება
მიღებულია 1880 წ. 2 აპრილიდამ
1881 წ. 1 იანვრამდე ე. ი. ცხრა
თვის განმავლობაში. ქველამ ვიცით,
რომ საზოგადოების წევრებმა 1879
წლის დეკემბრის განმავლობაში შეი-
ტანეს მიმომქცევ კაპიტალის თანხად
25,650 მან. ე. ი. მთელი მიმომქცევ
კაპიტალის ნახევარზე მეტი, და ამ
ფულს ასარგებლებდენ 1880 წ. 2
აპრილამდე. მაშასადამე ეს მოგება
ყოფილა ცამეტა თვის განმავლობაში
და „ნდობის საზოგადოების“ მმარ-
თველობა კი გვეუბნება ცხრა თვის
მოვიგეთ ამდენიო! მის ატყუებენ,
ჩვენ, თუ თავიანთ თავს? მრავლემ შემ-
თხვევაში სიცრუეს მოკლე ფეხები
აბია...

ახლა გადავიდეთ თვით სხდომის
ამბებზე. ძრების თავსმჯდომარედ იყო
ზემოხსენებული საზოგადოების რჩე-
ვის თავსმჯდომარე ბ-ნი ლავით ბაქ-
რადე. ქველავედ უწინარეს რაც ყურს
ცხოთირებოდა ამ სხდომაზედ ის იყო,
რომ ყოველივე მოხსენება და თით-
ქმის ბასიც კი ორ ენაზე იყო: ქარ-
თულად და რუსულად, თუმც კრება-
ზე დამსწრე რუსნი სამის მეტი არ
ყოფილან. ბევრი იყვირეს წევრებმა,
არ გვესმის რუსულიო, მაგრამ მაინც
არ დაანებეს თავი ხშირად რუსულად
ლაპარაკს. ლმერთმა აკოცხლოს ისევ
სომეხი ტერ-ლავით იარალიანცი, რო-
მელიც მუდამ ქართულად ლაპარა-
კობდა და მითი, თითქოს, მაგალითს
გვაძლევდა ქართველებს დედა-ენაზე

ლაპარაკისა... ამის შემდეგ ნუ გაგი-
კვირდებათ, რომ რუსულად დაწე-
რილი და წარმოდგენილი ანგარიში
განუხილველად, ხმა-ამოუღებლად და-
ამტკიცეს.

საზოგადოების რჩევის მოხსენება-
ზედაც კაცს ხმა არ ამოუღია. არა-
ვის არ მიუქცევია ყურადღება იმ
ურულ %-ებზე (12%) რომელსაც
საზოგადოება იღებს დისკონტად და,
ამასთან შედარებით, იმ ერთობ მცო-
რე სარგებელზე (5%) რომელსაც
თვით საზოგადოება იძლევა შესანა-
ხად შეტანილს ფულზეზედა.

ქველავედ უფრო ხანგრძლივი ბაასი
ასტეხა რჩევის წინადადება, რომ
მმართველობას ეთხოვოთ ნება მოგ-
ვეცეს კერძო პირებისაგან შესანახად,
მივიღოთ ფულიო და მათ ზოგიერთი
უფლებანი მივანიჭოთო (რჩევისათვის
დეპუტატის ამორჩევა და სარევიზიო
კომისიის რევიზიის დროს თანა-
დასწრებაო). მაგეობის წევრი თ. ძი-
რილე ლორთქიფანიძემ წინააღმდეგი
იყო ამ აზრის. იგი ამბობდა, რომ ან
წევრთა სულ ყველა უფლებანი მივა-
ნიჭოთ ჩვენს საზოგადოებაში ფუ-
ლების შემომტანლებთან და ან სულ
ნურაფერს მივცემთო. ლ. ბაქრადე და
მაგეობის თავსმჯდომარე მალევეკი
შეძლებიან-და-გვარად ენერგიულად
იკადენ ამ წინადადებას. ბაიბართა
ხუთიოდე კაცს შორის სწორედ იმის-
თანა ბაასი, რომელსაც ერთის ქურ-
დამ მეორეში გადასხმა ჰქვია. ბოლოს,
როგორც იქნა საზოგადოება დაე-
თანხმა ნ. ლოლობერიძეს, რომელმაც
სთქვა, შინანსთა მინისტრს სახელმწი-
ფო რჩევის უმაღლესად დამტკიცებუ-
ლის აზრისა მებრ (1872 წ.) არა აქვს
უფლება ამისთანა თხოვნის დამტკი-
ცებისა, რადგანაც იგი ეწინააღმდეგე-
ბა საგანგებოდ აღიარებულს ნორმა-
ლურ წესდებასაო. მა თუ მაინცა-და-
მაინც არ მოვიშლით, მაშინ კანონ-
მდებლობითი წესით უნდა ვიზრუნო-
თო ამ უფლების მოპოვებისთვის. ან
და რა პირობაში უნდა მივნიჭოს წევ-
რის უფლება შესანახად ფულის
შემომტანელ კერძო პირებს, რომელ-
თაც არავითარი პასუხის-გება არ
მიუძღვისთ, თუ ვინცოდაა საზოგა-
დოების საქმე ცუდად წავიდაო?

მონაგები ფულის ერთი წილი
ცოტა-ხნის ყოყმანობის შემდეგ მი-
ართვეს მაგეობის თავსმჯდომარეს
მალევეკის და წევრთა თ. ლ. თუ-
მანიშვილს და ძ. ლორთქიფანიძეს
(თითოს 400 მან.), რომელნიც აქა-
ნამდე მუქთად მსახურებდენ და ამიერ
პირველს 1,200 და დანარჩენ ორს
ათას-ათასი მან. დაენიშნათ. ძასირს
ექვსასი მანეთის წილ დაუნიშნეს
800 მან. ჯამაგირი. ამ უკანასკნელის
შრომის ფასისა მომატების დროს რჩე-
ვის თავსმჯდომარემ სთქვა, რომ აქამ-
დის თუმც კასირს 600 მან. ჰქონდა
დანიშნულიო, მაგრამ ჩვენ მაინც
რეასი მან. მივცით და ეს ორასი
მანეთი კანცელარიის ხარჯს ჩამოვარ-
ჩინეთო. საზოგადოებიდამ მოისმა
ხმა:

— „მაშ, რადგანაც კერძო მწარმოებ-
ორასი მანეთის ჰამონირებულ კან-
ცელარიის ხარჯილამ, წრეულს 200
მან. ნაკლები გადავდეთ კანცელა-
რიისათვის. რად ჰხარჯავთ რიგზე
მეტს?!“

მს წინადადება უდაბნოსა შინა
მლაღადებელ ხმად დარჩა...

წესდების ძალით სამსახურიდგან
უნდა გამოსულიყენენ ხედრით: ერთი
წევრი გამგეობისა და რჩევის ორი
დეპუტატი და სარევიზიო კომისიის
წევრნი. მაგეობის წევრთაგან თ. ლ.
თუმანიშვილს ხედა გამოსვლა. მსეც
და დეპუტატებაც კომისიის წევრებაც
ხელ-მეორედ ამოიჩიეს კენჭის უყრე-
ლად და ერთ-ხმად.

აწმყო წლის ხარჯთ-აღრიცხვას
შარშანდელთან შედარებით მოემატა
3,400 მან. გამგეობის წევრთ და კას-
სირის ჯამაგირი. ხარჯი კი მოემატა,
მაგრამ შემოსავალი მოემატება თუ
არა?

ჰ.

ხიზაბაგრა, 20 მარტს. ხელმწიფის
მოკვლის ამბავი აქ 6 მარტს გავრცელ-
და ხალხში. მეორე დღეს ყველგან
იასაულები გაიგზავნენ; მრთელი ჯა-
ვანეთის სამამასახლისოებიტან ყო-
ველ სოფლებში დაარჩიეს მიწვევის
ქაღალდები; სადაც ეწერა, ყოველი
წოდების პირი, დაწყობილი სასულიე-
როებიტან თავად-აზნაურ-მოქალაქე-
გლებამდის 12 წლიტან 60 წლამდის
და უფროც მიტისა უნდა წასუ-
ლიყენენ ახალქალაქს ახალი იმპერა-
ტორის ალექსანდრე მესამის ერთგუ-
ლებზედ დასაფიცებლად. მაჩნდა ყო-
ველგან დიდი მოძრაობა. შუალამიტან
დაიწყეს დენა ქვეითად წამსვლელ თ-
მთვარიანი ღამეც იყო და ალაგ-ალაგ
აქრელებით თოვლიცა. მეც ადრე
შევეცადე, მამასახლისის თუ ნაცვალს
ცხენი გამოგზავნათ, სანამ ინათლემ-
და, ცხენს შემოვანტი და გავსწიეთ
რამდენიმე წევრ-თეთრებთან ერთად.
ისეთი ქარი იყო, რომ სუნთქს არ
გვაბრუნებინებდა; მერე თუ მოგესხე-
ნებთ ხიზაბაგრის ხეგ-დღეღ-ღრუდები
ისე ქარიანია, რომ ზამთარ-ზაფხულ
უკლებლად ქარი ქრის.

მე რომ სამდურავი დაეიწყე ქარის
ქროლვაზედ, ერთმა წევრ-თეთრმა
მითხრა: ძველებისგან გავგივონია,
ქვეყანაზედ რომ ქარი დაიკარგოს,
ხიზაბაგრას იპოვნიანო! მეორემ დაუ-
მატა: აი მაგაზედ ლექსიც თქმულა
ძველთაგან:

„ხიზაბაგრა ქარიანი,
ღარნები აქვს კარიანი,
წინ მინდორი და უკან ტყე,
ღვინო იცის გვარიანი!“

ამ ლექსზედ გაუჩნდათ ამათ ერთ-
მანერთში ცილობა:

— ბიჭო, სადღა არის უწინდელი
ღვინო ან უწინდელი ტყე? იმდენს
არ ვაკლით, რომ ყურძენი რიგზედ
შემოვიდეს, დავესვიეთ მოვკრეთ
ქურსა და ისე ესწურავთ ვითამ ღე-

ნარკვეთილი

კვირული

მთელს ქვეყანაზე სტატისტიკას 1,421 მილიონადინ საღისი; ამთგან კერძაში 309 მილ., აზიაში 804, აფრიკაში 199, ამერიკაში და ავსტრალიაში კუნძულებით 4 1/2 მილიონადე.

ყოველ წლივ ისტრება 35,693,350, ყოველ დღევ 97,790 კაცი.

წელიწადში იბადება სულ 38,253,000 და დღეში 104,800 კაცი.

მასსადამე მთელ ქვეყანაზე ყოველ წამში კვდება 68 და იმთ სამაგეოროთ იბადება 73 კაცი და ქვეყნის მცხოვრების წელიწადში მატულობენ 2,558,650 კაცი.

ნიუ-იორკის (ამერიკის) სულში გაიზნა საქმე ერთი ნემუნის ქალისა ტერეზა რომანიდურისა, რომელსაც ბრალდებოდა, რომ იმან შეირთო სხვა და სხვა ჯდაჯას თოთხმეტი ქმარი ბრალდებული 29 წლის უმწველი ქალია. შირველი ქმარი იმან შეირთო გერმანიაში; შემდეგ გადმოსასდენენ ამერიკაში და აქ გააგრძელა ამ ქალმა თავის ქმრების რიცხვი.

რვა წლის განმავლობაში გახეთ „Figaro“-ს ქტიონერების შეტანის თანსა 1,200,000 ფრანკს წმინდა მოკება დაიზნა 6,144,000 ფრ. 1880 წელს შირველ იანვრიდგან სამს უბუნისთვედინ შემოსავალი გასავალ გადნა ამ გახეთის ქმინდა 1,693,256 ფრ.

რუმინის ერთ სოფელში ამ უკანასკნელ დროს საშინელი ყვავილი იყო. მრავალ ყვავილის მსგეობითა შუა, იყო ერთი უმწველი ქალიც, დედის ერთა. მკვდარს ჩაგვეს საგვირველია კაბა და ყელზე ჩამოკიდეს საქმოს ნახუქები ძვირფასი ყელსაბამი.

მერე დამეს სამა უმწველია ბიჭმა შექტეს შირბა მოეთხარათ საფლავი და ამოქლოთ ძვირფასი სამკაული. ერთი ამთგანი ჩავიდა საფლავში და ყელსაბამის შემოსასსგლათ მკვდარს თავი აუწია და უხებლიეთ მკვდარს თავი კედელს მინასდა. ამ დროს უგრად მკვდარმა თვალევი გააჭყიტა და მადლა შექტივდა! ავსავები საშინლათ შეშინდენ და გაიქტენ სოფელში და მდგელს გაუტედნენ თავინთ დანაშაულაბში. გაცრცხლებული მკვდარს დედამამ ძვირფასი ყელსაბამი ამ ბიჭებს აჩუქეს და ისინიც უგაყოფილოთ არ დაჩხენ...

ბერლინში ერთ გამოჩენილ სასტუმროში სხვა და სხვა საღისის გამართობელ საგნებთან სასტუმროს ჰატრონს გაღიაში ორი მაიმუნიც ჰყავდა. ერთ დღეს, როდესაც ჰატრონი შინ არ იყო, ამ მაიმუნებმა როგორღაც იუშავეს გალიის კარის გაღება. ისინი შეცვივდენ იმ ოთახში, სადაც ბუერი ძვირფასი ღვიწკები და ღვიწკები იდგა. დაიტაცენ ბოთლები დაუწვეს მსგეობა ბილიარდის სტოლზე. მერე ალოკეს ეს წიქნი და რომ კეკმათ სხვა-და-სხვა ტუბილი სასმელები, დაუწვეს გაჩენებული სმა. დაი-

ნებდა! ისეთი მყავე კოწმანი ღვიწკები გვიდგება, რომ კაქკაქს დაჩხავლებს!.. აბა სადღა გვარიანი ღვიწკო?

— მ, შე დალოცვილის შეილო, თუ გაქვს, ოდომც მასეი ღვიწკო და რაც უნდა კოწმანი იყოს, ხუთ მადლობასაც გარდაგინდი!..

— შენ, ჩემო ძმავე, კომბოსტოს მყავის წვეწასაც არ დაიწუნებ და ღვიწკოს ხომ რაღა.

— მოდი, ენახოთ ყველას შენსავით მოკუბრული რუმბის უმაგრესი მუცელი აქვს?

— მე აგრე, შენი სიტყვა იყოს, ტყეს რაღა გვიტრის?..

— რა და ერთ მხარეს ბატონების მეტყეურები გვარტყიან და მეორეს ხელმწიფისა. ჩვენ არ გვატყევენ არც ერთ წიქრსა და გარე-სოფლის სომეხ-კრობს კი აჩენინებენ მრთელ ტყესა! შუინ ორ-სამ ნაბიჯზედ ტყე გვადგა თავს და ახლა დღის სავალზედ გავგზორდა! ჰო სწორეთ მაგითია, რომ წყალი დავიბატარდა, ვენახებს ნაკლებად ვრწყამთ და იმიტომ კარგი ღვიწკო აღარ მოგვდის!

ამ გვარ შექტევაში ავიარეთ ხეც-ღვლეები და ავედით მარგავის მიწაში თუ არა, ქარიც დადგა და მზემაც ამოიჭვირვა აბულის მთის წვერითგან, შეაყენა ოქროს ფერი სხივები მანის მთას ზურგს და შემოაკვევლო გარშემო ძოწებრივის შარავანდებითა. იწყო ჰავანეთის სპეტაკი თოვლით ერთიან დაფარულმა ტრიალმა ვაკეებმა ღიმილი.

ბარდადეკით ვარენის ქვეშ მარდის-ციხის მადლობ ქედს თუ არა, დაინახეთ წინ ახალქალაქისკენ მიმავალი ღიდი სიმრავლე, დაჯრილი ბუზ-ფუთკარსავით, რიგი ქვეითად და რიგი ქებნითა შეგუნდული ხშირ ტყესავით. უკან მოვიხედეთ, დაგვევდა მეორე და მესამე წყება ცხენოსანია თუ ქვეითთა მარეწითგან, ოაკიდგან, ხანდოთგან, ბოკითგან, ალასტითგან, აზავრეთითგან, ტურცხითგან, და სხვა სოფლებითგან. ისეთი ამბავი იყო, რომ გეგონებოდათ მეორედ მოსვლის დღე ახლავე წინად გვეხატებო!

ჩვენ 10 საათზედ მიწვეულ ვიყავით; ნახევარ საათით წინ მივედით, მაგრამ მაინც ვერ მიუსწართ: ბაერის სომეხ-კათოლიკე მღვდელს პირველად დაეფიცებინა ქართველ-კათოლიკენი და სომეხ-კათოლიკენი ადგილობრივ ნაჩლინის დასწრებითა; შემდგომ მართლ-მადიდებელნი მესხ-ჯავახნი, მერმე გრიგორიანმა სომეხებმა დაიფიცეს და ბოლოს მაჰმადიანმა ჰავან-მესხებმა და თარაქამებმა.

ჩვენს კათოლიკებში ნახევარნი სომეხ-კათოლიკენი არიან და თითქმის ნახევარიც მესხ-კათოლიკენი, ხაზაბავრელ-მარგაველებმა ქართული იტიან და ტურცხელებმა, ხუთღუმელებმა, ბავრელებმა და ქარტველებმა თათრული, სულ ცოტა ნაწილმა იცის სომხური. ახლა ესენი რომ დააფიცოს ვინმემ სომხურად, რომ არ

იტიან ენა, რას მიემოწმებინ და მფიცებელ მღვდელსა, რაც არა ესმისთ რა? უკეთესი არ იქმნება თვითოეული საზოგადოება თავინთ მღვდლებმა დააფიცონ იმ ენაზედ, რა ენაც ესმისთ! ამას გარდა სოფელ-სოფელ ხალხის ხელმოსაწერი ქალაღვები ხიზაბავრას სომხურს ენაზედ გამოგზავნეს; არც ერთი სიტყვა არ ესმისთ სომხური და აწერინებენ ქართულად ხელს, მთავრობა თუ ადგილებრი ადმინისტრაცია რომ არ არჩევს ნაციასა, იმიტომ სომხებიც თითქო ძალად გვასომხებენ!

შემდგომ ჩვენ ორნი მღვდელნი ხიზაბავრისა და სიროსი მიგვიწვია ბ. ნაჩლინისკენ უეზდის უბრავლენიაში მიგვილო შესაფერად ჰავანეთის ბეგებთან და მოლოლებთან ერთად და წაგვიკითხა ვაწვითთგან რუსულად განსვენებულის იმპერატორის სამწუხარო შემთხვევა და შემდგომ მისი იმპერატორობითის ალექსანდრე მე-III გახელმწიფება; ცოტა ხნის შემდგომ გამოვეთხოვეთ და წამოვედით ჩვენს სოფლებში, რადგან გვიღამდებოდა და შორი გზის გამო ვერქარებოდით. მაგრამ კი მთელი ჯაჯაზები და სომხები სავე იყვენ ახალქალაქის იწრო ხანებში, დუქნებში და სამიკორტოებში რიგ გარედ გარდალექილნი მეტის სმისაგან..

ვინმე მესნი.

წერილი ჩედაქტორთან.

I

ბატონო ჩედაქტორო! თუ ჩემი შენიშვნები „მეფის ტყაოსნის“ გმირების შესახებ ოდესმე დაიბეჭდა, მაშინ, რასაკვირველია, მკითხველები თავის-თავათ დაინახვენ, რომ „ღროების“ № 69-ში დაბეჭდილი ბ-ნი მახუბაროძის სტატია, ჩემის ლექციების შესახებ, თავიდან ბოლომდე ცილისწამება არის.

არ ვიცი, განძრახვის ბრალია, თუ უცებობის; მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ავტორს გადაუსხვავებია ჩემი სიტყვები, ისეთ რამეებს ამბობს ჩემნათქვამათ შესახებ ქართლელებისა, იმერლებისა, აფხაზებისა, მეგრელებისა და სხვ., რომ მე აზრათაც არ მომგელია. სხვის ნათქვამს რომ თავი მოჰკვეთო, ბოლო მოაქვამა, შუა-და-შუა ამოგლიჯო, შენი სურვილისამებრ დაამახინჯო და მერე სხვისათა ალიარო, მე მგონია კარგი არ უნდა იყოს!

ა' ვიცი, რისთვის და ვისთვის გაუწვევა ბ-ნი მოხუბაროძის ამ გვარი შრომა? თუ მარტო მხოლოდ მისთვის, რომ დაენახებია „ღროების“ მკითხველებისთვის ჩემი „შენიშვნების“ ახირებულობა, წინდაწინვე შეეზიზღებია მოეშალა მათთვის სურვილი მისი წაკითხვისა, მაშინ აღარას ვიტყვით. მხოლოდ ღიმლით შენიშნავთ რომ ის აზრი, რომელიც ჩემ ნათქვამათ მოჰყავს იმერლების შესახებ, თვითონ იღებს გულში თავის-თავისვე შესახებ: „ბისმარკს თვალეუს აუსკვეს, წყალზედ

ჩაიყვანს, წყალს არ დააღვივებს და უკან ისე ამოიყვანს, რომ კერც კი გაიგებს.“

მთელი და პატიოსანი; მაგრამ მაშინ მხოლოდ ამას ურჩევთ, ბ-ნი ავტორს, რომ ვიცით მისი კეთილი გულის ამბავი: ზაფხულში, როდესაც ცხელა და მის გამო წყურვილიც მეტი აქვს ხოლმე კაცს, ნუ უზამს იმ ზემო მოყვანილ საქმეს ბი. მარკ, ნუ დაადებს ურწყულს, თორემ ხუმრობა ხომ არ არის, არ დაეხრჩოთ გერმანიელებს ის უბედური ბერი-კაცი!.. ან იმას რათა ჰღუპავს და ან თვითონ რათ ვარდება ცოდვაში!

აკაკი.

II

ბატონო ჩედაქტორო!

შეიძლება ვთხოვთ მიხსნათ ადგილი თქვენს პატივცემულს ვაწვითში ამ მკირე წერილსა და, თუ შესაძლებელია, პასუხიც ვაწვითსა საშუალობითვე გვაცნობოთ.

შარშან „ღროების“ რამოდენიმე ნომერში იყო განცხადება „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოებისა“, რომლითაც სხენებული საზოგადოება აცხადებდა, რომ ვინც ამა და ამ სახელმძღვანელოს წარმოადგენს საზოგადოებაში 1881 წ. 1 თებერვლამდის, საზოგადოება განიხილავს, უკეთეს სახელმძღვანელოის შემდგენელს დანიშნულს ჯილდოს (პრემიას) მისცემს და თხზულებასაც თავის ხარჯზედ დაჰბეჭდავს.

ჩემის მხრით მე შემძლიან ვხსთქვა, რომ ოთხმა ახალგაზრდამ უკვე წარადგინეს სახელმძღვანელოები: საქართველოს გეოგრაფია—ორმა, საქართველოს ისტორია და არითმეტიკა. შეტყეულია, რომ სხვანაც წარმოადგენდნენ სახელმძღვანელოებსა.

თითქმის ორი თვე გავიდა დანიშნულის ვადის შემდეგ და, როგორც შევიტყე, 2-ს თებერვალს ამ საგნის შესახებ კრებაც უნდა ჰქონოდა საზოგადოებასა; მაგრამ ჰქონდა თუ არა, ამხედ ჩვენ არაფერი ვიცით. სასურველია ჩვენთვის შევიტყოთ—რამდგომარეობაშია სახელმძღვანელოთა საქმე? იყო თუ არა ამ საგნის შესახებ ყრილობა და თუ იყო, რა გარდასწყვიტა? ან დაურიგდა თუ არა სახელმძღვანელოები მკოდნე პირებს განსახილველად? საინტერესოა, აგრეთვე, შევიტყოთ: თუ გარდაცათ მკოდნე პირებს, ვინ არიან ეს პირები?... იმედი გვაქვს, „ღროების“ ჩედაქტორა, რამდენადაც ეს საქმე შეეხება მას, მოხსენებულს კითხვებზედ შესაბამს და გეროვანს პასუხს მოგვცემს *).

ერთის სასკლმძღვანელს წარმადგენდი.

*) რადგან „ეს საქმე“ შირ-და-შირ „ღროების“ ჩედაქტორს არ შეეხება, არამედ თვითონ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კომიტეტს, ამის შესახებ სხსეუბელ კომიტეტისგან უნდა მოკვლეოდეთ. რედ.

თერენ და დანატერენს შუაგულში, ჭურჭელი ფანჯრები და სსკ. იმათი დაჭერა შეუძლებელი იყო. ბოლოს ღვინომ თავისი ქსა: როგორც მკვდრები ისე დაეყარნენ ზოლზე. დამთვრალ მამიქებს კმინათ ოც-და-ათი საათი.

* *

ორჯანის რეინის გზის კასსთან მოვიდა ერთი საშინელი სრული მოგზაური და აიღო ბილეთი ბორდომდინ. როდესაც ვაგონებში შესვლის დრო მოვიდა, ეს მოგზაური ვერც ერთ ვაგონის ვარკში ვერ შეუტია. სტანციის ზედამხედველმა მოახა ახალი ბარჯის ვაგონი და იმაზე დააბმინეს მოგზაური. ეს ვაგონი ოც-და-ორის წლისაა, სამი ადგილი სიგანე აქვს და სიმძიმე ცხრა იუთი.

თვილის საგაურალო

ავათყოფები მიიღებინ დაიღის ცხრა საათიდან ვიდრე ნაშუადღევს პირველ საათამდინ.

ორ შაბათს. გავრანსკი — ექიმი ბუბიაობისა და ქალების ავათყოფობისა; გორალევი და ლისინცოვი — შიგნაგან ავათყოფობისა; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათყოფობისა; ბაბაევი სისუსტისა და შინაგან ავათყოფობისა; შტემბორსკი ვენერული და ტყავის ავათყოფობისა.

სამშაბათს. მინკვიჩი — სირუგიული ავათყოფობისა; რეინი — თვალების ავათყოფობისა; ბასუტოვი — ბუბიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათყოფობისა; შეტროვსკი — ვენერული ავათყოფობისა;

ოთხშაბათს. კრანსოვოროდოვი და ლისინცოვი შინაგან ავათყოფობისა; ქიუნარანცი და შტემბორსკი — რიფიდიტიკური და ტყავის ავათყოფობისა.

ხუთშაბათი გავრანსკი — ბუბიაობისა და ქალების ავათყოფობისა; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათყოფობისა; ბაბაევი მარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტრანზისა ლისინცოვი და შეტროვსკი შინაგან ავათყოფობისა; ქიუნარანცი 1-ლა სიფილისტიკური ავათყოფობისა.

შაბათს მინკვიჩი — სირუგიული ავათყოფობისა; ბასუტოვი — ბუბიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათყოფობისა; კრანსოვოროდოვი, ლისინცოვი და ვერმიშოვი — შინაგან ავათყოფობისა; შტემბორსკი — ვენერული და ტყავის ავათყოფობისა.

შაბათი. ლისინცოვი — შინაგან ავათყოფობისა. რეინი — თვალების ავათყოფობისა; ბაბაევი — მარღვების სისუსტისა და შინაგან ავათყოფობისა; ქიუნარანცი 2-რე — ქალებისა და შინაგან ავათყოფობისა.

ორშენტი — კბილის ავათყოფობისა, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაბებს საავათყოფობას პარათებით.

ბანსალეზანი

თვილისის კრუეკი
მამიქი ა. ბაბაევი

წაიკითხავს საზოგადო ლექციებს

**წყლით
მამიქობაზე**

პირველი ლექცია იქნება
შაბათს, 4 აპრილს.

შემოსავალი ლექციებიდან დანიშნულია იშვერატორის კავკასიის ექიმთა საზოგადოებისაგან სახალხო ბროშურებს გამოსაცემით სექციონ-გიგიენურის შინაანსით რუსულ და ადგილობრივ ენებზე.

ადგილების ფასა: 2 მან., 1 მან., 50 კ. და 25 კ. ბილეთები ისე იღებენ კრუეკის შევიცნობის, შაგვრდოვან და სტ. პარისოვის მაღაზიაში. დასაწყისი საღამოს 8 სათქე. (2—1)

დასუიღვის დროს ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარვლები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურადამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რევოლველები 4 მან.—40მ-ლი ქულები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 3 მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 3 მ-დამ გირე.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირე. და ჩაი უქალაღლოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი ქალაღლო.

იქვე მრავალი ტანტები, ფოდნოები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქალაღლი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იათუთ ვინემ სხვაგან. (15—1)

განჩაროვის ქალის მაღაზიაში,

განაგის ქუჩაზედ სოლოლაკში მიღებულია მრავალი გულანშირები და თავსაკრავები. (5—2)

დიდ-ძალ სამონლის დასუიღვა

თაბრიკის ფასებით, ინგლისის მაღაზიაში, პრწრუნის გალერეიაში.

იქვე ისე იღება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახამებელი, კაკოა, შოკოლადი, სტაქნები და სახის დასამშვენებელად რძის, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—9)

მიუნხაღვათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: ვანგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინიზი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ. მშვენიერი გაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ ვარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაღლოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. სააკენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეების, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკოა ჭრისის, რომელთაც დამსასურეს შარეის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მქნდადი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდის ბლომით ინგლისის მაღაზიაში. მთელი ვოლტიუმი 15 მ. ხველების ვანტეტი 60 კ. ერთი გირვანქა. 100—46

ინკლისის მაღაზიაში

თისან-უარე  **გაქ-მას-ტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაშ.

აქვე ისე იღება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტყულებს საზონი, დუხები და სხვ. (150—54)

ბევრი კარატები

შოდნოები, კლიტეები, კალმები, ქალაღლები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისე იღება ინგლისის მაღაზიაში.

იქვე: პალტო 12 მან — დამ, შარვლები 4 მან — დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, პიანტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირე. უქალაღლოთ. მითი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—15)

ლონდონის მაღაზია

მრენის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პანტის და ჩინეთის პირველი მოწვევი. ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ტიქების, შოკოლადის, კაკოას, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—49)

დასუიღვა შასპით:

სასამთრო შალტაუბი 12 მანეთიდან; ჭურჭაიკები 2 მან. 50 კ.; ქულები 1 მანეთიდან, ფოდნოები 5 კაპიკიდან; თეფშები 12 კაშ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირე.; ინგლისური კამ-

ფეტები 40 კაპიკიდან, და ჩაი, რომელიც ყველგან 2 მ. შუქრ-წინდის იყიდება 1 მან. 80 კაპიკით. ინგლისის მაღაზიაში, ანწრუნის გალერეიაში. (20—15).

ტფილისის ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და მუთაისის გერანდის წიგნის მაღაზიაში ისე იღება
სამწერლო
თაიგული

შედგენილი და გამოცემული იღია ჭყონისაგან. შინაარსი: I ბანუსის თოგნა (ლექი) მ. შაზელისა, II უბედური შემთხვევა (აბაევი) შ—სა, III ჩემს სურათზე (ორი ლექი) მ. შაზელისა, IV მ...სადმი (ლექი) შ—სა, V ფერი ფერს — მაღლი დმერთის სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი შიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადა (ლექი) რაფიელ მრისთვისა, VII ხსათის გაგვენს სამეულ სმაილსა, VIII უკითხავი შასუსი (ლექი) ნ. დ—სა, IX ახალი მოგონება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარგალებს (ლექი) აკაკისა. შასი თითო წიგნისა ათი შაური.

ხველის კამფეტები 40 კაპიკიდან გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციები-სათვის—10 მან. 50 კაშ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაშ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შიდა სანთლები და მშრალი საპონი ინგლისის მაღაზიაში. (20—16)

ლონდონის მაღაზია გომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია სამღვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოგონებისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებებისა, ვარგატებისა, დანებისა, ვოკუებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკოასი, დუხებისა, საზონისა, შოკოებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალაღლისა, კარანდაშებისა, კაღებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი გლეშკვისი ზეთისა) და სხვ. სააკენტო მაგინტოშის მოსასურესებს გასასყიდლად განიქტების და ბატკურის და კამშ. მურანისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა სოტინგამიდან. სამღვილი ჭავანჯირები. (100—46)

ღვინის სახდელი მაშინები

ინჟინერ-მეხანიკის ბარბ ა. ჭონ-საპრის სისტემისა, რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზეოდებზე, გზადღვათ თვილისში, მარანტოვის წყლის-პირა ქუჩაზე, № 16 მეხანიკურ სახელოსნოში. დაწერილებული ცნობის შეტყობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე პარლ ნიშანთან. (11—11)